ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5499015

ნომერი: AR1836301

თარიღი : 08.07.2021

გაცემის თარიღი : 13.07.2021

გაცნობის თარიღი : 14.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქიზიყის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 01029014924
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4304676
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 13.12.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (კომერციული-საოფისე)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა კაპანაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი/მ მამუკა კაპანაძე

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01029014924

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს"Pepela Company''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406078211
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გოჩა კახიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01029006328

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5650.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 297.46
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 212.65
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 95.75
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 116.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1874.23
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1636.28
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 237.95
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1 (236.00)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1 (236.00)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1 (236.00)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: გენგეგმაზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვრებში არსებული ხე-ნარგავები და საპროექტო შენობასთან მისი დაშორების მანძლები. დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 3 მეტრს; ბუჩქების შემთვევაში 1.5 მეტრს. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება აღნიშნული მანძილების დაცვა წარმოსადგენი გექნებათ უფლებამოსილი ორგანიზაციის ან/და სპეციალისტის დასკვნა (დენდროლოგიური პროექტი) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მდგომარეობის, სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10სმ სიმაღლეზე და ტაქსაცია არსებული ხე/ნარგავების მოჭრა/გადატანაზე, შესაბამისი ექსპლიკაციითა და ნუმერაციით.

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ფოტოსურათები (უახლესი სიტუაციის) წარმოადგინეთ დათარიღებული სახით.

3.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: ველი შეავსეთ კროკის მიხედვით.

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .საერთო ფართობი (კვ.მ).: .ტექნიკურ -

ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .საოფისე ფართობი (კვ.მ).: .ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კომერციული ფართობი (კვ.მ).: დაფიქსირდეს ნახაზების შესაბამისად. -ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=0.2 (სსზ-2) მოიყვანეთ შესაბამისობაში, წარმოადგინეთ შესაბამისი საანგარიშო კროკი.
4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით; წარმოდგენილი იქნას საპროექტო და არსებული ჭრილის ნახაზი, ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით, ნახაზზე დეტალურად ინქას მითითებული ზომები და ნიშნულები. ნახაზზე ასევე ნაჩვენები იქნას კარის ზღურბლიც და დაცული იქნას ზემოთ ხსენებული სტანდარტებით გათვალისწინებული მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე;(აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოეწყოს პანადუსის მოაჯირებიც საჭიროებისამებრ პანდუსის არსებობის შემთვევაში); დაცული იქნას მისაწვდომობის სტანდარტები (ასახული იქნას შესაბამისი სვლა-გეზები; მინიმალური გასავლელის სიგანეები).
5.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: დამატებით წარმოადგინეთ გრძივი ჭრილი.
6."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, გადახდილ იქნას მოსაკრებელი.
7.მიწის ნაკვეთზე და საპროექტო არეალის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები: ელ.მომარაგება (6-10 კვ), ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი, სანიაღვრე ქსელი, ელ.ხაზი N 01.00.227 (სსიპ ქონების მართვის სააგენტო); საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
8. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;
9. წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
ვ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
10. საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. საჭიროა მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა და წარმოდგენილ იქნას განახლებული ამონაწერი.
-ასევე გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი გასნახილველად გადაიგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომ: 60-01211933864), რომლის პოზიციაც გეცნობებათ დამატებით დანართის სახით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.